


ღ რ მ ე ბ

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 147. კვირა, 4 ივლისი 1909 წ. დამატების № 26.



კ. მ. ვ. ბ. — ქანდაკება.



ვლ. ლორთქიფანიძე (შუაში),
გიმნაზიაში ყოფნის დროს, თავის ამხანაგებთან.

ქება-ქებათა

კარგად მოგეხსენებათ, დღევანდელი ევროპული ლიტერატურა დიდ ყურადღებას აქცევს ეროტიულ (სამიჯნურო) საგნებს. რუსულმა ლიტერატურამ ამაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა და რევოლიუციის ძლიერის სულის გავლენის ქვეშ თამამად წამოაყენა წინ ეგრედ წოდებული სქესის პრობლემა. მარტო ბეცა და უგუნურს შეუძლია ეს ძლიერ-მოსილი მოძრაობა პორნოგრაფიის სახელით მონათლოს და უდიადესი და უმწვავესი პრობლემა ცხოვრებისა აბუჩად აიგდოს. **თავისუფალი ადამიანი** — ეს იდეალია დღევანდელ კაცობრიობისა და მისის კულტურულის მსვლელობისა. ხოლო ასეთი თავისუფლება იგულისხმებს არა მარტო თავისუფლებას პოლიტიკურსა და ეკონომიურს, არამედ აბსოლიუტურს, უსაზღვრო თავისუფლებას ადამიანის პიროვნებისას. ამ თავისუფლების საზღვარი იქნება იქ, სადაც ხაზს გაავლებს უღმობელი კანონი ბუნებისა, რომელიც ბევრად უფრო ძლიერია და შეუბრალებელი, ვიდრე ათასგვარი მორალური მცნებები, რომლის თვისება ის არის. რომ პირველ ყოვლისა თვით ქურუმები მოღალატურად ამსხვრევენ მათ მიერვე შექმნილს ბორკილებს, ხოლო ვიხედაც ძალა აქვთ, ერთი ორად უჭირებენ მუხრუქს ამავე ბორკილებისას.

თავისუფლება აზრისა, თავისუფლება სინდისისა, შრომისა — ესენი თითქმის საანბანო ჭეშმარიტებად გარდაქცეულა, მაგრამ საქმაოა შეეხოთ თვით უძირათედეს მოთხოვნილებას ადამიანის ბიოლოგიურ პირადობისას, რომ მაშინვე თვით უკიდურესმა „თავისუფალმა მოაზრემ“ პირში ბურთი ჩაგჩაროს. თქვენ, მისის აზრით, თავისუფალი ხართ როგორც გინდათ ისე იაზროთ, ისე ილაპარაკოთ, თავისუფალი ხართ, თქვენ ქონებას რაც გინდათ, ის უყოთ, მაგრამ რაკი ჯერი მიდგება თქვენის პირადობის ერთ მხარეზე, თქვენ სხეულზე, აქ სულ სხვა გვარი ლათაიები დაიწყება, ის ლათაიები, რომელიც შეუქმნია დღევანდელ ცხოვრებაში გაბატონებულ ზნეობრივს, გონებრივს და ფიზიკურ სიმახინჯეს. ეს „ზნეობრივი მცნება“, რასაკვირველია, მარტო დუხჭირთა

და გონჯთა ხელ-საყრელია და დამამბობელია სიმშვენიერისა და სილამაზისა, ხოლო უმათოდ ადამიანის ცხოვრებაც უფერული და უგემური რამ არის.

ყოველ ერის დიდ ლიტერატურის წარმომადგენელს, ხშირად მთელის ერის ლიტერატურასაც კი სხვა გვარად შეუხედავს საქმისათვის და ადამიანის ბუნების მოთხოვნილება სიყვარულისა და ტრფიალებისა გაულწერებია სამარადისო საგალობელ და სათაყვანებელ საგნად შეუქმნია. ეს სიყვარული ეს ტრფიალება დამკავებულ მეწვრილმანურ მორალის ილიუსტრაცია კი არა ყოფილა. დიდებულ ნაწარმოებს დიდის მწერლისას და დიდის ერისას შეუქმნია სიყვარულის გრძობა, დამოუკიდებელი და თავისუფალი, ტიტველი, ბუნებრივი, გარეშე ყოველგვარ საზოგადოებრივ კალაპოტისა და ჩარჩოისა.

ერთს ასეთს დიდ ნაწარმოებთაგანს, რომელსაც საგალობელად „ეროტიული საგანი დაუსახავს, „ქება-ქებათა“, რომელიც, „დაბადებაში“ მოქცეული და, მაშასადამე, ებრავლთა ლიტერატურას ეკუთვნის. წინად იგი სოლომონის ნაწარმოებად იყო მიჩნეული, დღევანდელმა მეცნიერებამ კი სრულიად უარ-ჰყო ეს აზრი. ვინ არის, რომ არ წაეკითხოს ეს უკვდავი ქმნილება და აღტაცებით არ მოეხსინებინოს იგი. დიდებული გეტე ამბობს: აღზნებულის, ვნებათა ლელვით აღსავსე სიყვარულის გამოხატვაში „ქება-ქებათა“-ზე უფრო ნაზი და შეუდარებელი ნაწარმოები არ მოიპოვებაო. ფილოსოფოსი გერდერი ამბობს: „ქება-ქებათა“ ძველის ხორცის აღთქმას ეკუთვნის: ისეთივე აუცილებელი ადგილი უჭირავს იქა, როგორც ქალს, სიყვარულს, გაზაფხულს და სიყრმეს ადამიანის ცხოვრებაში. იგი მშვენიერი სუნნელოვანი კარავია, მშვენიერს თვალუწვდენელ ველზე: იგი მთელის შინაარსით უმაღლესს მწვერვალზე მიგვითითებს.“

მრავალი კომენტატორი ამ ნაწარმოებში ათასგვარ მისტიურ შინაარსსა ჰხედვიდა, მაგრამ ყოველივე ამგვარი შეხედულება ამ ნაწარმოების სამუდამოდ უარყოფილია, საბოლოო აზრი საფრანგეთის ცნობილ მწერალ რენანს აქვს გამოთქმული. „ქება-ქებათა“ საერო წიგნია და არა სასულიეროო. ამ ნაწარმოებში შეუძლებელია კაცმა ნახოს რაიმე ნასახი მისტიურის შინაარსისაო. პირიქით, მისი ტექნიკური მხარე



ვლ. ლორთქიფანიძე
სტუდენტობაში.

ისეთია, რომ ყოველივე ფიქრი ამაზედ უარყოფილ უნდა იქმნასო. კილო და სურათები, ვნებათა ლელვით აღსავსე, ნაწყვეტებისა იმგვარივეა, როგორიც არაბულ სამიჯნურო ლექსებში, რომლიშიაც თავის დღეში არვის არ უძებნია რაიმე მისტიური საგანი.

ამ ბოლო დროს რუსულ წიგნების გამომცემელმა ფირმამ „პანტეონმა“ გამოსცა მშვენიერი თარგმანი ამ ნაწარმოებისა, რომელიც ეკუთვნის ებრაელს ეფროსს. ნაწარმოები პირდაპირ ძველ ებრაულიდან არის გადმოთარგმნილი და თან ახლავს მრავალ კომენტარტორის და მეცნიერის აზრი ამ თხზულების შესახებ ჩვენ ამ შემთხვევით ვისარგებლეთ, რათა დაგვეტანა საუკეთესო ქართული თარგმანი ამ ნაწარმოებისა, რომელიც მეათე საუკუნის დამლევს ეკუთვნის (978 წ.), და რომლის დედანიც ათონის მონასტერში უნდა ინახებოდეს. როგორც სჩანს, იქიდან გადმოუწერია ეს ნაწარმოები პროფესორს ალექსანდრე ცაგარელს და დაუსტამბია თავის „Свѣдѣнія о памятникахъ Грузинскихъ письменностей“ (вып. I, С-пб. 1886 წ.) არის ამ დედნიდან გადმოწერილი — მთელი დაბადება — წ. კ: გამავრცელებელ საზოგადოებაშიაც. როგორც თვით მკითხველიც დააფასებს, ეს თარგმანი ყოველის ღირსებით სავსეა. ჩვენ ვარჩიეთ იმისი გადმობეჭვდა. ხოლო თუ ამ ნაწარმოების გაცნობა სურვილს აღუძრავს ვისმეს, უფრო ეხლანდელის სტილით გადათარგმნოს ეს ნაწარმოები პროზით ან ლექსადეს კიდევ უკეთესი იქნება. დაბეჭდილი ქართული დაბადება, რომელიც დღეს ხელთა აქვს ქართველ საზოგადოებას, სულ სხვა თარგმანია, მგონი მე-XVIII საუკუნეში უნდა იყოს გადათარგმნილი. გადმოთარგმნილი უნდა იყოს — სლავიანურის დაბადებიდან და სლავიანურის ზედ-გავლენით, ისეა დამახინჯებული ენა და აზრი, რომ კაცი ვერას გაიგებს. აუცილებლად საჭიროა ჩვენის ლიტერატურის ინტერესების მხრივ, რომ დაბეჭდილ იქმნას ძველი, მეათე საუკუნის თარგმანი დაბადებისა და ეს ბოლონდელი სულ მოსპობილ იქმნას. აიღეთ, რომელიც გინდათ ლექსი აი „ქება-ქებათა“-დან და ერთის შეხედვით შეამჩნევთ, რა დამახინჯებულია ბოლონდელი თარგმანი (ჩვენ შენიშვნებში მეორე, ცუდს თარგმანს ბოლონდელ თარგმანს ვეძახით). ავიღოთ, მაგ., მუხლი მე-10 — პირველ თავისა და შევადაროთ მეათე საუკუნის თარგმანი ბოლონდელ თარგმანს. მეათე საუკუნის თარგმანში: „ქმნულებასა ოქროისასა გამსგავსოთ შენ და წულილად დაცმულსა (ძაფ-ზედ) ვერცხლსა“ ეს წინადადება ყველასათვის ადვილი გასაგებია. ეხლა ნახეთ ბოლონდელი თარგმანი: „მსგავსი ოქროისა გქმენით შენ სიჭრელითურთ ვერცხლისა“. კაცი აქ ვერას გაიგებს, იმიტომ რომ სიტყვა სიტყვით გადმოღებულია სლავიანურიდან სადაც ნათქვამია: Подобія злата сотворимъ ти пестротами серебра. ამგვარია მთელი თარგმანი. შენიშვნაში ჩვენ ზოგიერთი ადგილი განვმარტეთ ეფროსის ახალ რუსულ თარგმანის მიხედვით (ასეც ვეძახით ამ თარგმანს (ახ. რ. თ.), თუმცა ვცდილობდით კილო მე-X—, საუკუნის თარგმანისა დაგვეცვა.

კიტა აბაშიძე

ქება-ქებათა.

თქმული სოლომონისი*)

თავი I

1. ამბორს მიყავ მე¹⁾ ამბორის—ყოფითა პირისა მისისათა, რამეთუ უმჯობეს არიან ძუძუნი²⁾ შენნი უფროს ღვინისა.

*) თარგმნილია 978 წ. თარგმანი ინახება ათონის მონასტერში. ტექსტი გადმოწერილი აქვს პროფ. ალ. ცაგარელს თავის თხზულებაში: „Свѣдѣнія о памятникахъ Грузинской письменности вып. I туд. 1886 წ.

1)... მიყავ მე...

2) აღერსნი შენნი (твои ласки.)

2. და სუნნელება ნელსაცხებელთა შენთა უფროს ყოველთა სუნნელებათა, ნელსაცხებელ—წარმოცალიერებულ³⁾ —სახელი შენი; ამისთვის ქალწულთა შეგიყვარეს შენ, მიგიზიდეს შენ⁴⁾.

3. შემდგომად შენსა—სუნნელად ნელსაცხებელისა შენისა ვრბოდეთ.

ქალწულთა სძალი უთხრობს რა იგი მიანიჭა მას დედამან.

შემიყვანა მე მეუღლემან საუნჯესა თვისსა,—ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ შენდამი.

სძალი უთხრობს ქალწულთა და მათ ჰრჰვის:

შევიყვარენ ძუძუნი შენნი უფროს ღვინისა⁵⁾ სიწრფოება-მან⁶⁾ შეგიყვარა შენ.


ქალწულნი სიძმსა უთხრობენ სახელსა:

4. შავ-ვარ და შვენიერ, ასულნო იერუსალიმისანო⁷⁾ ვითარცა საყოფელნი კედარისანი და ვითარცა კარავი სოლომონისი.

5. ნუ მხედავთ მე, რამეთუ შავებულ ვარ, რამეთუ უგულვებელს მყო⁸⁾ მზემან: ძენი დედისა ჩემისანი მლაღვიდეს⁹⁾ მე, დამადგინეს მე მცველად ვენახოვანისა—სავენახე ჩემი არა დავიცვი

სძალი სიძმსა ეტჰვის:

6. მითხარ მე, რომელი შეგიყვარა სულმან ჩემმან: სადა მწყისი? სადა დააწვინინი (ცხოვარნი) შუა სამხრის (ქამს) ნუ უკვე იქმნე შენ ვითარცა ვინ მოიცავნ კოლტსა სხვათასა¹⁰⁾.



ვლ. ლორთქიფანიძე.

უკანასკნელი სურათი.

7. უკეთუ არა იცნა თავი შენი¹¹⁾, კეთილო დედათა შორის, განვედ შენ კვალსა სამწყსოთა შენთასა, დამწყსენ თიკანნი შენნი საყოფელსა მწყემსთასა.

3) ახალ რუსულ თარგმანში ეს ადგილი ანაირად არის „елиѣ изливаемѣй — სახელი შენი გადმოსხმული ნელსაცხებელი.“

4) ეს სიტყვები მე-3-ე მუხლის დასაწყისშია და ისიც „მიმიზიდე მე „влеки ты меня“ და არა მიგიზიდეს შენ.

5) გავიხსენოთ აღერსნი შენნი, რომელნი უმჯობეს არიან უფროს ღვინისა.

6) წრფელად უყვარხართ შენ.

7) ასული იერუსალიმისა.

8) დამწყვა მზემან.

9) გამირისხდეს მე.

10) რისთვის უნდა დავშთე სვედით აღვსილი ჩემ ამხანაგთა ფარის მახლობლად.

11) უკე თუ არა იცნობ თავსა შენსა...

- 8. სახედარსა¹²⁾ ჩემსა, ეტლთა შინა ფარაოსთასა, გამგზავსე, მახლობელო ჩემო.
- 9. განშენდეს დაწვნი შენნი, ვითარცა გვრიტისანი, ყელი შენი ვითარცა მძივი (ძაფზედ) დაცმული¹³⁾.
- 10. ქმნულებასა ოქროისასა გამსგავსოთ შენ და წულილად დაცმულსა (ძაფზედ) ვეცხლსა¹⁴⁾.
- 11. და მოგასხნეს ხელნი მეუფემან.

სკალი თავისათვის და სიძისათვის იტყვის:

12. ნარდიონმან ჩემმან გამოსცეს სუნნელები თვისი! შეკრული შტახსი ძმისწულაკი ჩემი ჩემდა — შორის სასმეურთა ჩემთა განისვენებს¹⁵⁾.

- 15. აჰა, ესერა კეთილ ხარ, ძმისწულო ჩემო! ჩემსა ზედა საგრილი¹⁷⁾.
- 16. მოსელნი სახლისა ჩემისანი — ნაძვისანი და მენანი — საროსანი¹⁸⁾.

(შემდეგი იქნება).

¹⁷⁾ მოყვასო ჩემო და კვალად შევნიერ! ცხედარი ჩვენი მწვანილოვანი.

¹⁸⁾ ბოლონდელ ქართულს თარგმანში „სართულნი“ არის „მოსვლის“ მაგიერ, როგორც ეს არის ახალ რუსულ თარგმანში. ახალ რუსულ თარგმანის მიხედვით უნდა იყოს: „სართულნი სახლისა ჩვენისანი (ჩემისანის მაგიერ) კვდარისანი (кедры) და ავეჯნი კუპაროსისანი



ქალაქ რეზის ინჟინერის წოდება.

შუაში (ჯოხით ხელში, ვეროპიულ ტანისამოსში) ზის სეპეხდარი.

13. ტევანი გამობუტკოვის¹⁾ ძმისწული ჩემი ჩემდა — შორის ვენახოვანისა გაღისა.

სიძე სკალსა მიმართ იტყვის:

14. აჰა, ეგერა, შევნიერ ხარ, მახლობელო ჩემო, აჰა ეგერა თვალნი შენნი შევნიერ, ვითარცა ტრედისანი.

¹²⁾ რუსულად აქ КОНЫЛИЦА არის, ასე რომ ამგვარი შედარება ქალისა, რომლისთვისაც რუსის მწერალი არცბაშევი კინაღამ ჯვარს არ აცვეს, უძველეს დროიდან ყოფილა ცნობილი... მახლობელო ჩემო — подруга моя.

¹³⁾ განშენდეს დაწვნი შენნი სამკაულით, ყელი შენი მძივით დაცმულით.

¹⁴⁾ გაგიკეთებთ სამკაულსა ოქროისისასა.

¹⁵⁾ მთელი ეს ორი მუხლი არეულია. მე-11 მუხლი ასე უნდა იკითხებოდეს: „ვიდრემდის იყვეს მეფე სუფრად — ნარდიონმან ჩემმან გამოსცეს სუნნელები თვისი“. ხოლო მე-12-ე ასე: „შეკრული შტახსი მეგობარი ჩემი ჩემდა — შორის ძუთა ჩემთა განისვენებს“... საზოგადოდ იქ, სადაც ქართულში ძმისწულია ან დისწული ნახმარები, ახალ რუსულ თარგმანში მეგობარია, ე. ი. სატრფო.

¹⁶⁾ ბოლონდელ ქართულ თარგმანში კიპრთა სწერია, უფრო ახლოა. გამობუტკოვის აყვავება, ხილის გამოღება.

წერილი აგებები

მარკონის ახალი გამოგონება

უპოვებო ტელეგრაფის მოგონი მარკონი აქ უამად ამთავრებს აზარატს, რომელიც მთელ დედამიწაზე დიდ აშბებს მოახდენს. აზარატი ისე იქნება მოწყობილი, რომ შიგ ჩაიწერება თვითიული თქმული სიტყვა. ჯერ-ჯერობით მარკონი საიდუმლოდ ინახავს იმას, თუ როგორ არის მოწყობილი აზარატი. მარკონის უთქვამს, ერთი თვის შემდეგ ხალხს ვაჩვენებ და საქვეყნოდ გამოვცდი ჩემს აზარატსა.

ქალი-საქმრო

ქალაქ მედურნში ვინმე ქალს ოტკეის შეჭვარების ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავის თავს რედულის მთავარ-უბისკოვსის ძმისწულად აცნობდა კუკლას. ოტკეის ისე შეჭვარების ეს ემაწვიალი, ისე გაუტანია იმას სიღამაზე, რომ გადაუწვევტა ცოლად გავყოფოდა. მალე ჯვარიც გადაუწერიათ, მაგრამ მეორე დღეს აღმოჩენილა, რომ საქმრო გასათხოვარი ქალი ყოფილა და მამაკაცის ტანისამოსით დაიარებოდა თურმე. ამრიგად, ოტკეი მოტყუებული დაჩა. ვერ აუხსნიათ, რად ჩაიღინა „საქმრო“ ქალმა ასეთი საქმე.